უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლის სოციალური ისტორიის გავლენა აკულტურაციაზე

ნინო კოტრიკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კოტრიკაძე 27.01.2017

აბსტრაქტი

კვლევის თემას წარმოადგენს - იმიგრაცია და აკულტურაციის თავისებურებები.

საკვლევ კითხვას წარმოადგენდა: ახდენს თუ არა გავლენას სხვა ქვეყანაში ცხოვრებისას, აკულტურაციის ტიპზე საცხოვრებლად გადასვლის სოციალური ისტორია (მარტო ემიგრირდა თუ ოჯახთან ერთად). შესაბამისად, გადავწყვიტე მეკვლია იმიგრაციის ტიპის გავლენა აკულტურაცის ტიპზე. კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენდა ჩემი ვარაუდი, რომ პირები, ვინც ოჯახთან ერთად გაემგზავრა სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად, ხშირ შემთხვევაში განიცდიან ინტეგრაციას და საქმე გვაქვს აკულტურაციის ყველაზე ჯანსაღ ფორმასთან, ხოლო პირები, რომლებიც მარტო გადადიან საცხოვრებლად უცხო ქვეყანაში, განიცდიან მარგინალიზაციას.

კვლევა გათვლილი იყო საქართველოში დაბადებულ-გაზდილ, ქართულ ენაზე მოსაუბრე და ეთნიკრად ქართველებზე, რომლებიც 6 თვეზე მეტია საზღავრგარეთ ცხოვრობენ. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ექსპერიმენტი. კვლევის დამოუკიდებელ ცვლადს - უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლის სოციალური ისტორია (მარტო, ოჯახთან ან ახლობელთან ერთად). ხოლო დამოკიდებული ცვლადს - აკულტურაცია. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა - კითხვარი - აკულტურაციის საზომი. აკულტურაციის საზომი შედგებოდა სამი ნაწილისაგან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 208(ორას რვა) რესპონდენტმა. მონაცემების დამუშავების შედეგად კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ის პირები ვინც უცხო ქვეყანაში ოჯახის წევრებთან ან ახლობელ ადამიანებთან ერთად გადადიან უფრო მეტად განიცდიან ინტეგრაციას, ხოლო პირები რომლებიც მარტო მიემგზავრებიან მარგინალიზაციას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აკულტურაცია, იმიგრაცია, ინტეგრაცია, მარგინალიზაცია.

Abstract

The theme of this research is immigration and acculturation peculiarities. Main question of the research was the following: is the type of acculturation influenced by the social history (moving alone or with the family) of moving from one country to another ?

Research hypothesis was my presumption, that individuals, who move to another country with their family,integrate in most cases and this is the healthiest form of acculturation. People who leave their country and move into another culture alone- are marginalized. The research was conducted on ethnic Georgians, who are born and raised in Georgia and live in another country for more than 6 months. The method of the research was experiment. The independent variable of the research was the social history of moving into another country (alone or with the family members) and dependent variable-acculturation. For the purpose of the research questionnaires to measure acculturation were used. The acculturation measure consisted of three parts. 208 individuals participated in the survey. After analyses of survey results, the research hypothesis proved to be true. It appeared, that people who move into another country with family members or relatives are more integrated and people who move out alone are more marginalized.

Keywords: Acculturation , Immigration, Integration, Marginalization.

მ ა დ ლ ო ბ ა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს - ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდის განმავლობაში ხელშეწყობისთვის, სამაგისტრო ნაშრომისთვის საჭირო და აუცილებელი მასალების მოწოდებისთვის, რჩევებისთვისა და თანადგომისთვის; დოქტორანტ ია შეყრილაძეს, რომელმაც კვლევაში გამოყენებულ კითხვარებს ადაპტაცია გაუკეთა და შეადგინა დემოგრაფიული ნაწილი. ასევე მადლობას ვუხდი ჩემს თანაკურსელს გიორგი ითონიშვილს, რომელიც დაუზარებლად დამეხმარა შედეგების სწორ გამოთვლასა და სტატისტიკურ დამუშავებაში.